ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. ვანი 25 02 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მურად ახვლედიანი - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ავთანდილ ჭელიძე - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
აკაკი წერეთელი - გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, წევრი.
რუსუდან აბჟანდაძე - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
რამლეზი ოხხიკიძე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის წევრი.
თამარ ადეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი აპარატის წევრი-მდივანი.

დღის წესრიგი:

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის ცენტრის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპისა და ქ. ვანში მშვიდობის გორაზე დასასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე კონკურსის ხელახალი გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ავთანდილ ჭელიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას აცნობა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის ცენტრის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპისა და ქ. ვანში მშვიდობის გორაზე დასასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შედგენის შესყიდვის მიზნით 05 თებერვალს გამოცხადებული კონკურსი ე/ნ 1086 და ე/ნ 1087 დასრულდა უარყოფითი შედეგით. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე უნდა გამოცხადდეს ხელახალი კონკუსი.

დაადგინეს:

1) გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი კულტურის ცენტრის კაპიტალური რემონტის პირველი ეტაპისა და ქ. ვანში მშვიდობის გორაზე დასასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით.
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების

სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: მურად აზვლედიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ავთანდილ ჭელიძე

კომისიის წევრები:

1. აკაკი წერეთელი
2. რუსუდან აბჟანდაძე

აპარატის წევრები:

1. თამარ ადეიშვილი